

სატენდერო განაცხადი

ა(ა)იპ „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ 2005 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროექტს განათლების მიმართულებით, ამასთანავე, განათლების პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების კვლევასა და ანალიზს. ორგანიზაცია ამჟამად ახორციელებს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „MySchool.Ge უკეთესი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის“.

ტენდერის დასახლება: ვებგვერდის და მასთან ასოცირებული მობილური აპლიკაციის შექმნის სამუშაოების შესასრულებლად

პროექტის სახელწოდება: „MySchool.Ge/ganatileba.ge უკეთესი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის“ („MySchool.Ge/ganatileba.ge for Better Education Opportunities and Civil Engagement“)

ფინანსური მხარდამჭერი: ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა.

პროექტის მიზანი: საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუმჯობესების პროცესში ქართული საზოგადოების ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შექმნა და ანგარიშვალდებულების აღვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტის დანერგვა ონლაინ პლატფორმის სახით.

პროექტის ხანგრძლივობა: ნოემბერი 2021- მარტი 2022

სატენდერო განაცხადის მიღების ბოლო ვადა და პროტოკოლი: დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე ბეჭდური სახით და მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. კონვერტს დალუქვის ადგილას დასმული უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის ბეჭედი ან/და ხელმოწერა. **შემოთავაზებები მიიღება არაუგვიანეს 2021 წლის 20 ნოემბრისა თბილისის დროით 18:00 საათამდე, ფოსტით ან შემდეგი ელ. ფოსტის მეშვეობით: cciir.info@gmail.com**

**„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“
თბილისი, მცხეთის ქუჩა 8/90**

ტექნიკურ ან ადმინისტრაციულ მოთხოვნებთან დაკავშირებული შეკითხვებით გთხოვთ, მოგვმართოთ **არაუგვიანეს 2021 წლის 18 ნოემბრისა ელ.ფოსტაზე: cciir.info@gmail.com** შეკითხვები უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

CCIIR-ის მიერ ოფიციალურად ჩაითვლება მხოლოდ წერილობითი პასუხები. ნებისმიერი სიტყვიერი ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნება კავშირის თანამშრომლების მიერ, არ ჩაითვლება ოფიციალურ ინფორმაციად სატენდერო პროცესში.

სატენდერო განაცხადი: სატენდერო განაცხადში უნდა იყოს ფიქსირებული ფასი, მოიცავდეს ყველა საკითხს მიღებისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. მიღებული სატენდერო განაცხადები ვადის ამოწურვიდან 30 დღის განმავლობაში დარჩება ძალაში. სატენდერო განაცხადები მიიღება ოფიციალურ ბლანკზე ან ფორმატში.

სხვა მოთხოვნები:

1) წარდგენილი თანხა უნდა მოიცავდეს მთლიან ოდენობას, შეთავაზებები უნდა იყოს ძალაში მინიმუმ 30 დღის განმავლობაში ტენდერის ვადის გასვლის შემდეგ. დამატებითი მომსახურება, უნდა იქნეს ცალკე მითითებული.

2) ტენდერში მონაწილე პირს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

3) საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, მცხეთის ქ 8/90.

4) ანაზღაურება: ეტაპობრივად, გაწეული სამუშაოების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5) შემოთავაზება მიღებული იქნება გარკვეული დროის შემდეგ და განიხილება მოგვიანებით, CCIR-ის უფლებამოსილების შესაბამისად.

6) დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ ფირმასთან.

7) ტენდერში მონაწილე პირები ვალდებული არიან, მათი შემოთავაზება აკმაყოფილებდეს იმ ინსტრუქციებს, ვადებსა და პირობებს, რომლებიც მითითებულია სატენდერო განაცხადში. აღწერილი ვალდებულებების დაუცველობა გამოიწვევს დისკვალიფიკაციას.

ტექნიკური მახასიათებლები:

ტენდერის ფარგლებში უნდა განხორცილდეს შემდეგი სამუშაოები:

- ვებგვერდის შექმნა
- ვებგვერდთან ასოცირებული მობილური აპლიკაციის შექმნა
- პროექტის მიზნების შესაბამისად, ვებგვერდის ტექნიკური პარამეტრების დადგენა
- ვებგვერდის დიზაინის შემუშავება
- არსებულ ჰოსტინგზე ვებგვერდის ატვირთვის უზრუნველყოფა
- ვებგვერდის ტექნიკური გამართვა
- პროექტის ვებ-ადმინისტრატორის პანელის მარტივი მექანიზმის უზრუნველყოფა
- ვებგვერდის და მობილური აპლიკაციის საპილოტე რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა და შესაბამისი გაუმჯობესებების შეტანა
- ტექნიკური მონიტორინგი და დახმარება საჭიროების შემთხვევაში, პროექტის მიმდინარეობის პროცესში
- სხვა სახის დახმარება კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე

ვებგვერდის და მასთან ასოცირებული მობილური აპლიკაციის შემუშავება უნდა მოხდეს გამარჯვებული პირის/კომპანიის შერჩევიდან არა უმეტეს 4 თვის განმავლობაში.

ვებგვერდის შესახებ: პლატფორმა უნდა მოიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

(ა) ინსტიტუციური მონაცემთა ბაზა: დაინტერესებული მომხმარებელი შეარჩევს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს თითოეული საჯარო სკოლის შესახებ ინსტიტუციურ რუკაზე დაწკაპუნებით ან პლატფორმაში ინტეგრირებული საძიებო ველის გამოყენებით. მონაცემების არასრული ჩამონათვალი მოიცავს: (ა) მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობას, მათ მახასიათებლებს; (ბ) სკოლის ბიუჯეტს; (გ) სკოლის დირექტორის მახასიათებლებს; (დ) მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობას; (ე) ხარჯებს ერთ მოსწავლეზე; (ვ) მასწავლებელთა კვალიფიკაციასა და ასაკს; (ზ) სკოლის ინფრასტრუქტურასა და ხელმისაწვდომ რესურსებს.

(ბ) საჩივრები და ანგარიშები: ეს სპეციალური, მრავალსექტორული განყოფილება საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს, სკოლებს და დაინტერესებულ საზოგადოებას წამოაყენონ პრეტენზია ან დაწერონ ანგარიში სკოლებში არსებულ გადახრებზე, ხარვეზებსა და გამოწვევებზე. განყოფილება საშუალებას მისცემს

მომხმარებლებს დაახარისხონ თავიანთი ანგარიშები შემდეგი პრობლემების მიხედვით: (ა) ინფრასტრუქტურული; (ბ) ეკოლოგიური; (გ) Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული; (დ) სწავლების დროს საგანმანათლებლო მასალებისა და რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული და ა.შ.

(გ) ანგარიშები და მონაცემთა ანალიზი - კონკრეტულ პრეტენზიაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების პასუხები (სკოლები, მუნიციპალიტეტები, განათლების სამინისტრო - პრობლემის გადაჭრის კუთხით). ეს მონაცემები შეგროვდება თითოეული სკოლის, რაიონის, რეგიონის დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის შედეგების შედარებას რეგიონის/მუნიციპალიტეტის მიხედვით.

მსგავსი მახასიათებლების მქონე ვებგვერდის ლინკი: <http://www.fixyourstreet.ie/>

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- კომპლექსური, ინტერაქტიული ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების შემუშავების, გამართვისა და მუშაობის მონიტორინგის გამოცდილება
- მიზანმიმართულობა, კონკრეტულ დროში კომპლექსური სამუშაოს ჩატარების უნარი
- დამკვეთის მოთხოვნებზე ორიენტირების უნარი
- შეკვეთის ბიუჯეტური დეტალების გათვლისა და წარმოდგენის უნარი

სატენდერე განცხადებები მიიღება 2021 წლის 20 ნოემბრამდე და მოიცავს ვებგვერდის და მობილური აპლიკაციის საილუსტრაციო პარამეტრებისა და დიზაინის სავარაუდო გეგმას, სამუშაოს საკალენდარო გეგმასა და დეტალურ ბიუჯეტს.